სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25683546079920

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200865737

რეგისტრაციის თარიღი

23.10.2020 წ

ნოტარიუსი: რუსუდან ფიფია
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
ტელეფონი: 2223678

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო, ქ. თბილისი

ორი ათას ოცი წლის ოცდასამ ოქტომბერს მე, ნოტარიუს რუსუდან ფიფიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N10-ში, მომმართა შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი''-ს დირექტორმა ნინო ოკრიბელაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რის საფუძველზეც შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი''-ს სახელით თამაზი მურვანიძეს მიანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებას.

დავადგინე ნინო ოკრიბელაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე შევამოწმე ნინო ოკრიბელაშვილის უფლებამოსილება.

ნინო ოკრიბელაშვილი არის შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405312905) დირექტორი, რაც დასტურდება შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი''-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20036708, 25/05/2020 18:40:38.

შემდეგ, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე ნინო ოკრიბელაშვილს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება მარწმუნებლის შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი''-ს ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცი წლის ოცდასამ ოქტომბერს **შპს-მ ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი"** (მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაციის თარიღი: 24/01/2019, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405312905, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N2, ბინა N26), შემდგომში ,,მარწმუნებელი" წარმოდგენილი დირექტორის **ნინო ოკრიბელაშვილის** (დაბადებული 14. 01. 1989 წელს რუსთავში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი რუსთავი, გივი ოდიშარიას ქუჩა N25, ბინა N4, პირადი N35001031772) სახით, **თამაზი მურვანიძეს** (დაბადებული 13. 07. 1956 წელს ლანჩხუთში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N17, პირადი N01015021376) სახით, შემდგომში ,,რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, ისნის ქუჩა N21/ქალაქი თბილისი, ჩეხოვის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.17.01.115.024) არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოების (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა) შესრულებასთან, ასევე მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, საკუთრების უფლების აღიარების კომისიასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთობაში.

ნინო ოკრიბელაშვილი

საჭიროების შემთხვევაში მარწმუნებლის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში, მარწმუნებლის ინტერესების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს წარუდგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები, მოიპოვოს (გამოითხოვოს), შექმნას და წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა, უზრუნველყოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, პროექტის კორექტირება, სამშენებლო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზ(ებ)ის დაკვეთა-მომზადება, ხელი მოაწეროს უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზებს, შიდა აზომვით ნახაზებს, ხელი მოაწეროს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ აქტს, მშენებლობადამთავრებულ შენობა-ნაგებობ(ებ)ა)ზე მარწმუნებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია საჯარო რეესტრში წარადგინოს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტი და უზრუნველყოს შენობა-ნაგებობ(ებ)ა)ზე მარწმუნებლის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უზრუნველყოს უძრავ ნივთ(ებ)ზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებ(ებ)ის რეგისტრაცია, სარეგისტრაციო წარმოებაში/წარმოებებში ხარვეზის დადგენისა და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში, უზრუნველყოს ხარვეზის შევსება და დამატებითი სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენა.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის ოცდასამი ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, ორი ეგზემპლარი გადაეცა შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი"-ს დირექტორს, ნინო ოკრიბელაშვილს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში თან ერთვის:

1. შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20036708, 25/05/2020 18:40:38.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 10 ლარი + ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), სულ 12 ლარი.

მარწმუნებელი შპს ,,სითი ჰოთელ მენეჯმენტი", წარმოდგენილი დირექტორის ნინო ოკრიბელაშვილის სახით

ნინო ოკრიბელაშვილი

ნოტარიუსი **/რუსუდან ფიფია/**